საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2024

საქართველოს პირველი არხის

წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

27 აგვისტოდან 26 ოქტომბრამდე

შინაარსი

პირველი არხი

- საინფორმაციო გადაცემები
- თოქშოუები

საქართველოს რადიო

- თოქშოუები

რეკლამა

- პირველ არხზე და საქართველოს რადიოში საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დრო

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად უფლებამოსილი პარტიებისთვის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარ ეთერში გამოყო ყოველ საათში 5 წუთი და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად, თითოეული უფლებამოსილი პარტიის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა თავსდებოდა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდა, ხოლო, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, სხვა პარტიების წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების მიზნით გამოიყო ყოველ საათში 10 წამი თითოეული სუბიექტისთვის და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად, თითოეული პარტიის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა თავსდებოდა იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი პარტიისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 30 წამს არ აღემატებოდა.

საქართველოს პირველი არხის ეთერში, მომართვის საფუძველზე, განთავსდა შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკური რეკლამა:

სატელევიზიო ეთერი:

- №4 კოალიცია ერთობისთვის გვარამია, მელია, გირჩი, დროა
- №5 „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“
- №6 „ევროპელი დემოკრატები“
- №8 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
- №9 „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის!“
- №16 „შეცვალე საქართველო“
- №17 „საქართველო“
- №20 თავისუფალი საქართველო
- №21 ტრიბუნა
- №25 „გახარია საქართველოსთვის“
- №27 „ქართველ ერთობა“
- №36 „გირჩი“
- №41 ქართული ოცნება

რადიოეთერი:

- №6 „ევროპელი დემოკრატები“
- №8 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
- №16 „შეცვალე საქართველო“
- №17 „საქართველო“

- №20 თავისუფალი საქართველო
- №27 „ქართველ ერთობა“
- №41 ქართული ოცნება

საქართველოს პირველი არხის წინასაარჩევნო შიდა მონიტორინგი 27 აგვისტოდან დაიწყო.

მონიტორინგი მიმდინარეობდა სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით, ხოლო გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები. მონიტორინგის პროგრამა საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს გადამოწმდეს ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები.

მონიტორინგი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულების კომპონენტი, მოიცავდა წინასაარჩევნო პერიოდში პირველი არხის ყველა საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემასა და საქართველოს რადიოს თოქშოუებს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გაიზომა:

პირველი არხის გადაცემები - „მოამბე“ 10:00, „მოამბე“ 12:00, „მოამბე“ 15:00, „მოამბე“ 18:00, „მოამბე“ 21:00, „მოამბე სპეციალური გამოშვება“, „არჩევნები 2024“ - პირდაპირი ეთერები, „არჩევნები 2024 - მაკა ცინცაძესთან ერთად“, „ყველა შეკითხვა ცესკოს“, „არჩევნები 2024 - გიორგი გვიმრაძესთან ერთად“ და „დებატები 2024“.

გადაცემები საქართველოს რადიოში - „ღია სტუდია“, „რეალური სივრცე“.

მონიტორინგის პროცესში გაიზომა საარჩევნო და არასაარჩევნო სუბიექტები:

1. ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები
2. აღმასრულებელი ხელისუფლება
3. საკანონმდებლო ხელისუფლება
4. პრეზიდენტი
5. ადგილობრივი თვითმმართველობები
6. არასამთავრობო ორგანიზაციები
7. ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობა

მეთოდოლოგია

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტს - მოიცავს სუბიექტის პირდაპირ და ირიბ გაშუქებას დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური).

» პირდაპირ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტი თავად საუბრობს
» ირიბ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობენ სხვები

ქრონომეტრაჟი ითვლება, როცა სუბიექტი:

» ჩანს კადრში
» კადრში საუბრობს
» ისმის მხოლოდ ხმა
» მასზე საუბრობენ სხვები
» ჩანს სუბიექტის საიმიჯო ატრიბუტიკა

მონიტორი აღნიშნავს სუბიექტის მიერ ნახსენებ ყველა ობიექტს ცალ-ცალკე, ქრონომეტრაჟის და გაშუქების ტონის მითითებით. საარჩევნო მონიტორინგის დროს ქრონომეტრაჟი არ მრგვალდება. გაშუქების ტონის განსაზღვრისას:

» ნეგატიურად ითვლება გამომსვლელის მიერ მწვავე, უარყოფითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
» პოზიტიურად ითვლება გამომსვლელის მიერ დადებითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
» ნეიტრალურად ითვლება სიტუაციის აღწერა, ფაქტების დაფიქსირება, ასევე ინფორმაცია, რომელიც არ გამოხატავს გამომსვლელის დამოკიდებულებას, მშრალად, დადებითი და ნეგატიური კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენების გარეშე აღწერს მოვლენებს.

მონიტორინგი ასახავს სუბიექტებისათვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, მათ შორის ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ ხსენების დროს და ტონს.

საინფორმაციო გადაცემები

საქართველოს პირველმა არხმა, 27 აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადებით, საარჩევნო სუბიექტებს შესთავაზა მათი პროგრამების პრეზენტაციის პირდაპირი გაშუქება თუ საარჩევნო სუბიექტი თავად უზრუნველყოფდა პირდაპირი ტრანსლაციისთვის სიგნალის მიწოდებას. შედეგად, პირველი არხი იყო ერთადერთი მედია, რომელმაც მაყურებელს ინფორმაცია მიაწოდა სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიებისა და პროგრამების შესახებ. პარტიების მომართვის საფუძველზე პირდაპირი ეთერი დაეთმო: ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს, ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის, ძლიერი საქართველო - ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კამპანიებს.

საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი პირდაპირი ეთერის ქრონომეტრაჟი აისახა მონიტორინგის რაოდენობრივი კვლევის მონაცემებში, „მოამბის“ 10:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00 საათიან და „მოამბის“ სპეციალურ გამოშვებებთან ერთად. შესაბამისად, ანგარიშის მიხედვით, გაიზარდა პირდაპირი გაშუქების ქრონომეტრაჟი. აღსანიშნავია, რომ ერთიანობა- ნაციონალური მოძრაობის საარჩევო კამპანიის მიმდინარეობის პროცესში გამოყენებული იყო ქართული ოცნების პარტიული ატრიბუტიკა, რაც მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით ჩაითვალა ქართული ოცნების გაშუქებად და თავის მხრივ გაზარდა აღნიშნული საარჩევნო სუბიექტისთვის დათმობილი დრო.

მონიტორინგში ასახულია საარჩევნო სუბიექტების გაშუქება მათი წინასაარჩევნო აქტივობების შესაბამისად.

გრაფიკი # 1 - „მოამბის'' 10:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00 საათიან და მოამბის სპეციალურ გამოშვებებში, ასევე „არჩევნები 2024'' - (პირდაპირი ეთერები) საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი. გრაფიკში ასახული არ არის საარჩევნო სუბიექტები 2 წუთზე ნაკლები გაშუქებით.



წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტებთან ერთად გაიზომა არასაარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დროც. აღმასრულებელი ხელისუფლების პირდაპირი გაშუქება მნიშვნელოვნად გაზარდა მსხვილი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროექტების შესახებ „მოამბის“ სპეციალურმა გამოშვებებმა: ეთერი დაეთმო რიკოთის მაგისტრალური გზის ახალი მონაკვეთის გახსნას, ასევე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დაწყებას. გაშუქდა პრემიერ-მინისტრის გამოსვლა გაეროს უშიშროების სხდომაზე, ბრიფინგი კულტურისა და სპორტის მინისტრის წარდგენის შესახებ და სხვ.

გრაფიკი #2 - „მოამბის'' 10:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00 საათიან და მოამბის სპეციალურ გამოშვებებში არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი



გაშუქების მაღალი უარყოფითი ტონი პროცენტული გადანაწილების მიხედვით დაუგროვდათ საარჩევნო სუბიექტებს: ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა, გახარია საქართველოსთვის, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო. მნიშვნელოვანი პოზიტიური გაშუქებით გამოირჩევა კოალიცია ძლიერი საქართველოსთვის. ხოლო დომინანტური გაშუქების ტონი ყველა საარჩევნო სუბიექტის მიმართ კვლავ ნეიტრალურია.

ცხრილი #1 - „მოამბის'' 10:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00 საათიან და მოამბის სპეციალურ გამოშვებებში, ასევე „არჩევნები 2024'' - (პირდაპირი ეთერები) საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი, დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მითითებით. ცხრილში ასახული არ არის საარჩევნო სუბიექტები 2 წუთზე ნაკლები გაშუქებით.

საარჩევნო სუბიექტები	ნეგატიური		ნეიტრალური		პოზიტიური	
	%	ქრონ.	%	ქრონ.	%	ქრონ.
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	11.13%	4:11:36	81.32%	30:37:45	7.54%	2:50:27
ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა	18.27%	2:23:11	75.97%	9:55:27	5.76%	0:45:07
ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის	4.62%	0:28:58	83.67%	8:44:53	11.71%	1:13:29
გახარია საქართველოსთვის	11.66%	0:37:17	84.80%	4:31:07	3.53%	0:11:18
გირჩი	0.15%	0:00:15	97.54%	2:41:17	2.31%	0:03:49
კოალიცია ცვლილებისთვის, გვარამია მელია გირჩი დროა	9.76%	0:15:17	82.71%	2:09:30	7.53%	0:11:47
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0%	0:00:00	99.22%	0:27:36	0.78%	0:00:13
ევროპელი დემოკრატები	0%	0:00:00	96.88%	0:07:14	3.12%	0:00:14
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	2.82%	0:00:11	93.85%	0:06:06	3.33%	0:00:13
ქართველ ერთობა	0%	0:00:00	100%	0:04:03	0%	0:00:00
ტრიბუნა	0%	0:00:00	92.65%	0:02:06	7.35%	0:00:10

გრაფიკი # 3 - „მოამბის'' 10:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00 საათიან და მოამბის სპეციალურ გამოშვებებში, ასევე „არჩევნები 2024'' - (პირდაპირი ეთერები) საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი პროცენტული გადანაწილების მიხედვით. 100 % არის თითოეული საარჩევნო სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური ქრონომეტრაჟი. გრაფიკში ასახული არ არის სუბიექტები 2 წუთზე ნაკლები გაშუქებით



თოქშოუები

8 ოქტომბრიდან პირველი არხის ეთერში ყოველდღიურად გადიოდა სპეციალურად წინასაარჩევნო პერიოდისთვის შექმნილი გადაცემა „არჩევნები 2024'', წამყვანი მაკა ცინცაძე. გადაცემაში დრო დაეთმო კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, თითოეულს თანაბრად 15 წუთი. აღნიშნული ფორმატით ისარგებლა 17-მა საარჩევნო სუბიექტმა.

ოთხ კვალიფიციურ სარჩევნო სუბიექტს შორის პოლიტიკური დებატები მაყურებელმა 21 ოქტომბერს იხილა, ორმა საარჩევნო სუბიექტმა „კოალიციამ ცვლილებებისთვის გვარამია, მელია გირჩი, დროამ'' და „ერთიანობა- ნაციონალურმა მოძრაობამ'' დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ცხრილი # 2 - გადაცემებში „დებატები 2024'', "არჩევნები 2024'' საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი გაშუქება.

საარჩევნო სუბიექტები	პირდაპირი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1:58:51
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	1:58:51
ევროპელი დემოკრატები	1:58:51
გირჩი	1:58:51
ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა	0:15:00
კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა	0:15:00
ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის	0:15:00
საქართველო	0:15:00
გახარია საქართველოსთვის	0:15:00
თავისუფალი საქართველო	0:15:00
ტრიბუნა	0:15:00
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:15:00
ჩვენ	0:15:00
შეცვალე საქართველო	0:15:00
ჩვენი გაერთიანებული საქართველო	0:15:00
ქართველ ერთობა	0:15:00
მემარცხენე ალიანსი	0:15:00
Total	**11:10:24**

საქართველოს რადიო

თოქშოუები

საქართველოს რადიოში 28 სექტებრიდან 25 ოქტომბრამდე საარჩევნო სუბიექტები გაშუქდნენ გადაცემებში „რეალური სივრცე'' და „ღია სტუდია".

ცხრილი #3 – „რეალურ სივრცეში'' და „ღია სტუდიაში'' საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი გაშუქება

საარჩევნო სუბიექტები	პირდაპირი
კოალიცია ცვლილებისთვის, გვარამია მელია გირჩი დროა	0:40:00
გირჩი	0:40:00
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:40:00
ევროპელი დემოკრატები	0:40:00
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	0:25:00
ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა	0:25:00
ქართველ ერთობა	0:15:00
ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის	0:15:00
საქართველო	0:15:00
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:15:00
გახარია საქართველოსთვის	0:15:00
ჩვენი გაერთიანებული საქართველო	0:15:00
თავისუფალი საქართველო	0:15:00
მემარცხენე ალიანსი	0:15:00
შეცვალე საქართველო	0:15:00
ტრიბუნა	0:15:00
ჩვენ	0:15:00
Total	**6:15:00**